



[← უკან](#)

[«წინა შემდეგ»](#)

საკასაციო საჩივარი			
საქმის ნომერი	ას-1330-2018	კატეგორია	სამეწარმეო სამართლებრივი დავა
თარიღი	15/10/2020	სახეობა	კერძო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები
შედეგი	დატოვებულია უცვლელად	დავის საგანი	სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

გადაწყვეტილება/განჩინება

საქმე №ას-1330-2018

15 ოქტომბერი, 2020 წელი,
ქ. თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

ეკატერინე გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მოსამართლეები: მირანდა ერემაძე,
ბესარიონ ალავეძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

კასატორი – მ.ა.ი.ს.თ.ა.ში (მოპასუხე)

მოწინააღმდეგე მხარე – შპს „ი.გ-ი“ (მოსარჩელე)

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინება

კასატორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

დავის საგანი – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

საკითხი რომელზედაც მიღებულია განჩინება - საკასაციო საჩივრის უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ.ა.ი.ს.თ.ა.შ-მა (შემდეგში: კომპანია, მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი), 2006 წლის 14 აპრილს, განცხადებით მიმართა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „ს-ს“ (შემდეგში: ს-ი) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით. სარეგისტრაციო სიმბოლო წარმოადგენს გამოსახულებას ეტიკეტს, სადაც წარმოდგენილია ბოთლი წარწერით ლათინური ასოებით - "ი.რ-ი" (ქ. 1, ს. გ. 27).
2. კომპანიის განაცხადის საფუძველზე ს-მა გადაწყვიტა, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის რაობაზე („ალკოჰოლიანი სასმელები“), რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ნაწილობრივ უარის თქმის საფუძველს, შესაბამისად, შესაძლებლად ჩათვალია დაცვა მხოლოდ საქონლისათვის „რაკი (თურქული ალკოჰოლიანი სასმელი)“ (ქ. 1, ს. გ. 25; 38).
3. ს-მა 2007 წლის 26 მარტს დაარეგისტრირა და მიანიჭა რეგისტრაციის ნომრები: №2007 17374 R და №2007 17375 R საქონლის საერთაშორისო კლასიფიკაციის 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალს 33 - რაკი (თურქული ალკოჰოლიანი სასმელი) (ქ. 1, ს. გ. 40-41).
4. ს-მა 2014 წლის 28 ივლისს დაარეგისტრირა და მიანიჭა რეგისტრაციის ნომერი № 2014 25055 R საქონლის საერთაშორისო კლასიფიკაციის 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალს - ალკოჰოლური სასმელი (ლუდის გარდა) (ქ. 1, ს. გ. 148).

5. სასარჩელო მოთხოვნა

5.1. შპს „ი.გ-მა I. G.“ (შემდეგში: შპს ან მოსარჩელი) 2015 წლის 4 მარტს სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე კომპანიის წინააღმდეგ და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია #2007 17374 R; 2007 17375 R; 2014 05055 R.

6. მოპასუხის შესაგებელი

6.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნო.

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით შპს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია #2007 17374 R; 2007 17375 R; 2014 05055 R.

7.2. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლითა და სპეციალური კანონის მე-3, მე-4, მე-6 მუხლებით იხელმძღვანელა.

8. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

8.1. მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

8.2. მოპასუხემ, ასევე, მოითხოვა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებების გაუქმება და შუამდგომლობების დაკმაყოფილება. კერძოდ, 2016 წლის 25 მარტის განჩინება ტერიტორიული განსჯადობის შესახებ; 2016 წლის 13 აპრილის განჩინება უწყებრივი (სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის) ქვემდებარეობის შესახებ; 2016 წლის 13 აპრილის განჩინება ს-ის მესამე პირად ჩართვის შესახებ; 2016 წლის 13 აპრილის განჩინება შპს-ს არასათანადო მოსარჩელედ ცნობის შესახებ.

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9.2. სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში ასახული გარემოებები, მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 23-ე, 30-ე მუხლებზე, სპეციალური კანონის მე-3 მუხლზე, სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციაზე (შემდეგში: პარიზის კონვენცია) და განმარტა, რომ სასაქონლო ნიშნის დაცვაზე ლეგიტიმაცია გააჩნია სასაქონლო ნიშნის მფლობელს. სპეციალური კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სასაქონლო ნიშანზე უფლების შეძენისას, ნიშნის მფლობელი იძენს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი დაცული პროდუქტების/მომსახურებისათვის. ეს დაცვა მოქმედებს პრიორიტეტის პრინციპის მიხედვით უფრო ახალ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით და დროის პრიორიტეტის მიუხედავად დაცულ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით. კანონი განსაზღვრავს უფლების დარღვევის შემადგენლობას და ადგენს განსაკუთრებული უფლების მქონე პირის უფლებას, აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რომელიც მისი დაცული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

9.3. პარიზის კონვენციის მე-6 septies მუხლის თანახმად, (1) იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში დაცული ნიშნის მფლობელი პირის რწმუნებული ან წარმომადგენელი, კავშირის ერთ ან მეტ ქვეყანაში, მფლობელის ნებართვის გარეშე, შეიტანს განაცხადს თავის სახელზე ნიშნის რეგისტრაციას, მფლობელს უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მოთხოვნილ რეგისტრაციას ან მოითხოვოს მისი გაუქმება, ან თუ ქვეყნის კანონი ამის ნებას იძლევა, აღნიშნული რეგისტრაციის გადაფორმება მის სასარგებლოდ, გარდა შემთხვევისა, როდესაც ასეთი რწმუნებული ან წარმომადგენელი დაასაბუთებს თავისი მოქმედების მართლზომიერებას. (2) ნიშნის მფლობელს, ზემოთ მოყვანილი (1) პუნქტიდან გამომდინარე, უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს რწმუნებულის ან წარმომადგენლის მიერ ნიშნის გამოყენებას, თუ მას ასეთ გამოყენებაზე ნებართვა არ გაუცია. რწმუნებულის/წარმომადგენლის ცნება მოიაზრებს არა მხოლოდ დავალების ფარგლებში მოქმედი სუბიექტს, არამედ იმ პირსაც, ვინც მოქმედებდა როგორც სადავო სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონლის დისტრიბუტორი და უფლების მქონე პირის ნებართვის გარეშე მიმართა კავშირის წევრ ქვეყანას ნიშნის რეგისტრაციის თხოვნით. ზემოხსენებული დებულება ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც დისტრიბუტორის მიერ რეგისტრირებული ნიშანი არ არის იდენტური სასაქონლო ნიშნის მფლობელი დაინტერესებული პირის ნიშნისა. ნორმის

აღწერილობითი ნაწილის თანახმად, სასაქონლო ნიშნის მფლობელი პირის უფლებების რეალიზაციისათვის საკმარისია იმ გარემოებების დამტკიცება, რომ მოსარჩელეს კავშირის წევრ ქვეყანაში რეგისტრირებული აქვს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი; მოპასუხე არის/იყო მისი წარმომადგენელი ან დისტრიბუტორი; მან მოსარჩელის ნებართვის გარეშე მიმართა კავშირის წევრ ქვეყანას რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტიფიკაციის ან მსგავსი ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე.

9.4. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს ეკისრება მოპასუხის მიერ უფლების არამართლზომიერად განხორციელების, ხოლო მოპასუხეს – საკუთარი კეთილსინდისიერების დადასტურების ვალდებულება. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და განმარტა, რომ ეროვნული კანონმდებლობის დასახელებული დანაწესები შეიძლება პარიზის კონვენციის ზემოხსენებულ რეგულაციასთან მიმართებით იმგვარად განიმარტოს, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ბათილობის უპირობო საფუძველია, როგორც მოქმედების არაკეთილსინდისიერად განხორციელება, ისე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის აგენტის ან წარმომადგენლის (დისტრიბუტორის) მიერ უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე რეგისტრირებული ნიშნის პარიზის კონვენციის წევრ ქვეყანაში რეგისტრაცია.

9.5. პარიზის კონვენციის 10ter მუხლით: (1) კავშირის ქვეყნები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ კავშირის სხვა ქვეყნების მოქალაქეები მე-9, მე-10 და მე-10bis მუხლებში მითითებული ყველა ქმედების ეფექტიანი აღკვეთის სამართლებრივი საშუალებებით. (2) გარდა ამისა, ისინი იღებენ ვალდებულებას გაითვალისწინონ ზომები, რომლებიც საშუალებას მისცემს მრეწველების, მწარმოებლებისა და მოვაჭრეების ინტერესების წარმომდგენ კავშირებსა და გაერთიანებებს, თუკი ასეთი კავშირებისა და გაერთიანებების არსებობა არ ეწინააღმდეგება მათი ქვეყნების კანონებს, მე-9, მე-10 და მე-10bis მუხლებში მითითებული ქმედებების აღკვეთის მიზნით სასამართლოში ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე აღძრან საქმე ისეთ ფარგლებში, რამდენადაც ქვეყნის კანონები, სადაც დაცვა მოითხოვება, ამ ქვეყნის კავშირებსა და გაერთიანებებს ნებას რთავს განხორციელონ ასეთი ქმედება.

9.6. სააპელაციო სასამართლომ სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით განმარტა, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით; ამავე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა პარიზის კონვენციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე, სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე;

9.7. წარმომადგენლის ან აგენტის მიერ სასაქონლო ნიშნის თავის სახელზე რეგისტრაცია წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი განზრახვით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ერთ-ერთ სახესხვაობას, რომელიც სპეციალურ კანონში რეგისტრაციის ბათილად ცნობის განცალკევებულ საფუძველად არის გამოყოფილი. ამდენად, როგორც „ბ“ ისე „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების შეფასებისას უნდა განისაზღვროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის არაკეთილსინდისიერების კრიტერიუმები.

9.8. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას არაკეთილსინდისიერი განზრახვის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გარემოებები, რომლებიც გამოვლინდა კონკრეტული განაცხადის შეტანის მომენტისათვის. სააპელაციო სასამართლომ ასეთ გარემოებებად მიიჩნია: განმცხადებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ მესამე პირი პარიზის კონვენციის წევრ ერთ ქვეყანაში მაინც იყენებს სასაქონლო ნიშნის იდენტიფიკაციის ან მსგავს ნიშანს იდენტიფიკაციის ან მსგავსი საქონლისათვის; განმცხადებლის განზრახვა, აუკრძალოს მესამე პირს თავისი ნიშნის გამოყენება; განცხადებული და მესამე პირის სასაქონლო ნიშნის დაცვის ხარისხი.

9.9. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ ასი ათასი (სულ მცირე) ადამიანის მიერ სადავო სასაქონლო ნიშნის შინაარსის ცოდნა უდავოდ აძლევს აღნიშნულ ნიშანს უპირატესობას, სხვა განმასხვავებელუნარიან სასაქონლო ნიშნებთან შედარებით. მომხმარებელი ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ ყიდულობს ახალ არაყს, რომლის სასაქონლო ნიშანიც ასეთივეა. სასაქონლო ნიშნის არსებითი თვისებაა, რომ იგი არ უნდა იყოს იდენტიფიკაციის სხვა მეწარმე სუბიექტის მიერ წარმოებული საქონლის სასაქონლო ნიშნისა. განსახილველ შემთხვევაში მესამე პირს-სხვა მეწარმეს ერთმევა უფლება საქონელზე გამოიყენოს სადავოდ გამხდარი სასაქონლო ნიშნებში არსებული სიტყვიერი ნიშნები.

9.10. როგორც ეს საქმის მასალებითაა დადაგენილი სადავო სასაქონლო ნიშანი 33-ე კლასებისათვის დარეგისტრირებული ჰქონდა აპელანტს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მომხმარებელს აქვს საშუალება, თავად აირჩიოს სასურველი პროდუქცია, რომელსაც იცნობს და ენდობა, ამდენად, სასაქონლო ნიშნის გამოყენების მიზანი სწორედ ისაა, რომ მომხმარებელს ჰქონდეს უტყუარი ინფორმაცია, კონკრეტული პროდუქციის წარმოშობის, მისი მწარმოებლისა და სხვა სპეციფიკური ნიშან-თვისებების შესახებ, რის გამოც პროდუქტს ირჩევს. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზანი არა მხოლოდ კერძო პირთა საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფაში გამოიხატება, არამედ - საჯარო

ინტერესები, რომ მომხმარებელთა არა მხოლოდ კონკრეტული წრე, არამედ პოტენციური მომხმარებელიც დაცული იყოს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ შეცდომაში შემყვანი, არასწორი ინფორმაციისაგან. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეკედენტული სამართლის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი რეგისტრაციის მომენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ქონებას“ წარმოადგენს /Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§ 66-72, ECHR 2007-I. შესაბამისად, რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდგომ სასაქონლო ნიშანი ხდება საკუთრების ობიექტი და მასზე ვრცელდება საკუთრების დაცვის ყველა სამართლებრივი რეგულაცია. ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, არამედ თავად რეგისტრაციის განაცხადი და სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მამდიბლოს სამართლებრივი სტატუსიც კი უკვე შესაძლებელია წარმოშობდეს ისეთ ქონებრივ უფლებებს, რომლებიც ექცევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ ცნებაში /Anheuser-Busch Inc. v. Portugal [GC], no. 73049/01, §§ 73-78, ECHR 2007-I“ (იხ. სუსგ № ას-1285-1223-2014, 01.12.2015წ.) ვინაიდან საქართველოში დროებით ან მუდმივად მყოფი გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა, რომელთათვისაც გასაგებია გარკვეულ უცხო ენაზე შესრულებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი, შეიძლება ამ პირთა ოდენობამ ვერ მოახდინოს გავლენა მეწარმეებს შორის კონკურენციაზე, თუმცა მომხმარებელი ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ ყიდულობს ახალ არაყს, რომლის სასაქონლო ნიშანიც ასეთივეა. შესაბამისად, მოპასუხის არაკეთილსინდისიერი ქმედებით, ფაქტობრივად მოხდა მოსარჩელის უფლებების ხელყოფა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას მართებულად დაედო საფუძველად.

10. მოპასუხის საკასაციო საჩივარი

10.1. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სააპელაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილება, შესაბამისად - სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

10.2. კასატორი შემდეგ ძირითად პრეტენზიებზე ამახვილებს ყურადღებას:

10.2.1. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამი კრიტერიუმის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის არაკეთილსინდისიერი განზრახვა (წინამდებარე განჩინების 9.8 ქვეპუნქტი), თუმცა, არც კი უმსჯელია მის მიერვე მითითებულ კრიტერიუმებზე, შესაბამისად, ბუნდოვანია, თუ რომელ კრიტერიუმზე დაყრდნობით დაადგინა მოპასუხე (კასატორი) კომპანიის არაკეთილსინდისიერი განზრახვა;

10.2.2. კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომელიც ეხება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის უპირატესობას და ასახულია წინამდებარე განჩინების 9.9 ქვეპუნქტში; კასატორი სააპელაციო პალატის განმარტებას უწოდებს „რეგოლაციურს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში... ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში საქართველო იქნება ის უნიკალური სახელმიფო, სადაც გაუქმებას დაექვემდებარება მსოფლიოში ცნობილი სასაქონლო ნიშნები: “Apple” (ვაშლი), “Kinder” (ბავშვი), “Camel” (აქლემი) და ა.შ.“; ეს განმარტება საპროცესო სამართლებრივი მოთხოვნების უგულებელყოფით გააკეთა სააპელაციო სასამართლომ, რადგან მოსარჩელეს ასეთი ფაქტი არასოდეს უხსენებია პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმეში არ არსებობს ამ ფაქტის არათუ დამადასტურებელი, არამედ მიმანიშნებელი მტკიცებულებაც კი; პირველი ინსტანციის მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით გამოიგონა ეს ფაქტები და შემდგომ საკუთარი ინიციატივითვე აღიარა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად (სსსკ-ის 106-ე მუხლი), რაც ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას- N ას-811-2010; N ას-967-1246-09; საქმეში წარმოდგენილი ლექსიკონი ადასტურებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოგონილი ფაქტი არის მცდარი; ამ შედავებიდან გამომდინარე კასატორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება არა მხოლოდ უკანონოა, არამედ საშიშ პრეკედენტს ქმნის როგორც ინტელექტუალური სამართლის სფეროში, ისე - საპროცესო სამართლის მიხედვითაც;

10.2.3. კასატორი ვრცლად აღწერს ფაქტობრივ გარემოებებს, ინფორმაციას სასაქონლო ნიშნებისა და მისი მესაკუთრის შესახებ; აღნიშნავს, რომ “Yeni Raki” ბრენდირებული ალკოჰოლური სასმელის წარმოება მოპასუხე კომპანიამ ჯერ კიდევ 1937 წელს დაიწყო თურქეთში, დღესდღეობით ყველაზე ცნობად და აღიარებულ ბრენდს წარმოადგენს. პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის, გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში; ბრენდის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ვებ გვერდზე: www.yenirakiglobal.com; კომპანიას სასაქონლო ნიშნები რეგისტრირებული აქვს მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში და ყველა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მოიცავს სიტყვიერ ნაწილს: “Y.R.”. საქართველოში 2007 წელს დარეგისტრირდა ორი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი, სიტყვიერი ნაწილით “Y.R.” (რეგისტრაციის ნომრები: 173.. და 173..). ამ სასაქონლო ნიშნებს რეგისტრაციის ვადა 10 წლით გაუგრძელდათ 2017 წელს. 2014-15 წლებში საქართველოში დარეგისტრირდა კიდევ სამი სასაქონლო ნიშანი სიტყვიერი ნაწილით “Y. R” (რეგისტრაციის ნომრები: 250, 250 და 264); თვლის მომდარებით საქართველოში

რეგისტრირებულია ხუთი სასაქონლო ნიშანი, რომელთა სიტყვის ელემენტი არის “Y.R.”;

10.2.4. კასატორი აღწერს მოსარჩელე კომპანიის მიერ მოლდოვადან კონტრაფაქციული (“Y.R.”) საქონლის იმპორტის შესახებ გარემოებებს და უთითებს, რომ მას 2014 წლის იანვარში დაუკავშირდა მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენელი და აცნობა, რომ იგიგებოდა მოლდოვაში წარმოებული პროდუქციის შემოტანა, რომელიც აღრევამდე მსგავსი იყო მოპასუხე კომპანიის მსოფლიოში აღიებული სასაქონლო ნიშნისა (“Y.R.”); მოსარჩელე კომპანიის წარმომადგენელმა ისიც აცნობა მოპასუხეს, რომ ევროკავშირის ბაზარზე წარუმატებლად სცადა კონტრაფაქციული ტვირთის შეტანა და იქ დაწუნებული პროდუქცია გამოიგზავნა საქართველოში. კასატორი უთითებს, რომ მოსარჩელის კონტრაფაქციული საქონელი საბაჟო საზღვარზე გააჩერეს, შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული განჩინებით იმპორტიორს (მიმდინარე დავაში მოსარჩელე კომპანიას) აეკრძალა “Y. R.”- ით ნიშანდებული კონტრაფაქციული საქონლის იმპორტი: შეჩერდა საბაჟო პროცედურები, ტვირთი დასაწყობდა ბათუმში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და იმპორტიორს დაეკალა საქონლის განადგურება. ეს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. იმპორტიორს არაერთხელ ეთხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულება, თუმცა, საბოლოოდ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ უზრუნველყო სასამართლოს გადაწყვეტილების იმულებითი აღსრულება და კონტრაფაქციული საქონელი განადგურდა ბათუმის ნაგავსაყრელზე;

10.2.5. კასატორი აღწერს კონტრაფაქციული საქონლის იმპორტიორის ქმედებებს, კერძოდ იმას, რომ მოსარჩელე კომპანიამ მიმართა სასამართლოს მოპასუხის კუთვნილი ორი სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო შემდეგ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის გზით, მესამე ნიშნის ბათილობაც მოითხოვა; სამივე სასაქონლო ნიშანი მოიცავს სიტყვიერ ნაწილს “Y.R.”; 2014 წლის დეკემბერში, სარჩელის შეტანამდე, დაჩქარებული წესით დაარეგისტრირა სასაქონლო ნიშანი „Y.“ 33-ე კლასში (ალკოჰოლური სასმელები); მოპასუხე კომპანიის სასაქონლო ნიშანი “Y.R.” ასევე რეგისტრირებულია 33-ე კლასში;

10.2.6. კასატორი ვრცლად უთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებზე და მათგან ისეთზე, რომელიც სამართალწარმოების პროცესში არც კი გაქდებულა (საქართველოში 100 000 ეთნიკური წარმოშობის აზერბაიჯანელის ცხოვრება, რაც საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია სასამართლომ), მართალია, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოსახლეობის 2,7 %-ის (100 000 ადამიანის) მიერ სასაქონლო ნიშნის ცოდნა „საყოველთაო გამოყენებას“ ნიშნავდა (სპეციალური კანონის 4.1-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტის მიხედვით), მაგრამ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ უპრეცედენტო საფრთხის მატარებელი დასაბუთება გააკეთა, როდესაც არაკეთილსინდისიერად მიიჩნია მოპასუხე კომპანიის მიერ იმ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელიც კასატორს რეგისტრირებული აქვს მსოფლიოს მასშტაბით და რომელი ნიშნით ნიშანდებულ პროდუქციასაც მსოფლიოს მასშტაბით ჰყიდის;

10.2.7. კასატორი ვრცლად მსჯელობს სააპელაციო სასამართლოს განჩინებასა და მის დასკვნებზე, რომლებსაც აკრიტიკებს. მოპასუხე აღნიშნავს, რომ „არაკეთილსინდისიერი მიზნით“ რეგისტრაცია არ ყოფილა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი; კონტრაფაქციული საქონლის იმპორტიორს არასდროს ჰქონია სასაქონლო ნიშანი, დღესაც არ აქვს; მოსარჩელე კომპანია 2013 წელს დაფუძნდა, შესაბამისად, შეუძლებელია მას 2007 წლამდე გამოყენებინა რომელიმე სასაქონლო ნიშანი ან რაიმე სახის კომერციული აქტივობა ეწარმოებინა; სასამართლოს უნდა შეეფასებინა 2007 წელს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციით, ხომ არ შეეზღუდა მესამე პირს (ამ შემთხვევაში მოსარჩელე კომპანიას) სასაქონლო ნიშნის გამოყენება; თუმცა მოსარჩელე კომპანია 2007 წლამდე არ არსებობდა, მას არასდროს ჰქონია სასაქონლო ნიშანი, შესაბამისად, შეუძლებელია მოპასუხე კომპანიის მიერ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას რაიმე გავლენა მოეხდნა მოსარჩელის სამართლებრივ მდგომარეობაზე; სააპელაციო პალატამ, როგორ ჩანს, არასწორად აღიქვა მის მიერვე მოხმობილი მეორე კრიტერიუმები და მიიჩნია, რომ ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც სასაქონლო ნიშნის მესაკუთრე (კასატორი) რეგისტრირებული ნიშნის გამოყენებას უკრძალავს მესამე პირს (ამ შემთხვევაში მოსარჩელეს), მაშასადამე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნის მესაკუთრე არაკეთილსინდისიერად მოქმედებს, თუ სასაქონლო ნიშნის არმქონე მესამე პირს (მოსარჩელეს) უკრძალავს რეგისტრირებული ნიშნის გამოყენებას.

10.2.8. საკასაციო საჩივარში მოპასუხე ასევე მსჯელობს სასაქონლო ნიშნების “Y.R.”- სა და “Y.R.”-ს შედარებაზე და იქვე დასძენს, რომ შესადარებელიც არაფერია, რადგან მოსარჩელე კომპანიას არ აქვს დ არც არასდროს ჰქონია სასაქონლო ნიშანი, აქედან გამომდინარე კი, არ არსებობს ამ კრიტერიუმებზე მსჯელობისათვის აუცილებელი ფაქტობრივი წინაპირობები. თუკი სასამართლო იმსჯელებდა მის მიერვე მითითებული კრიტერიუმების მიხედვით, შეუძლებელი იქნებოდა, დაედგინა მოპასუხე საწარმოს არაკეთილსინდისიერი მიზანი;

10.2.9. მოპასუხე საკასაციო საჩივარში ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც წინამდებარე განჩინების 9.10 ქვეპუნქტშია ასახული და უთითებს, რომ დაუსაბუთებელია, თუ რა კანონიერი უფლებები შეეზღუდა მოსარჩელეს (იხ. დაზუსტებული საკასაციო საჩივარი- ტ. 2).

11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

11.1. მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ხოლო საჩმის ზეპირი მოსმენით განხილვა დადგინდა 2020 წლის 17 სექტემბერს. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა საკუთარი განმარტებები და მოსაზრებები წარუდგინეს სასამართლოს განსახილველი დავის შესახებ.

11.2. კასატორმა მხარი დაუჭირა საკასაციო პრეტენზიას და გასაჩივრებული განჩინების შეცვლით, ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა, ამასთან, საკასაციო სასამართლოს 2020 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე კასატორის წარმომადგენლებმა ისიც აღნიშნეს, რომ იმ დაშვებითაც, თუ გაზიარებული იქნებოდა მოსარჩელის მტკიცება, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა მომხდარიყო მთლიანად; გავრცელებული პრაქტიკაა, რომ სასამართლომ არადაცვაუნარიანი ნიშანი ცნოს ბათილად და არა მთლიანად ნიშანი (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმი 13:02:53-დან).

11.3. კასატორის მოწინააღმდეგე მხარემ (მოსარჩელემ) აღნიშნა, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხე საწარმოს საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგი არგუმენტაციით:

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, # 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain [GC]* par.26; *Jahnke and Lenoble v France (dec.)*; *Perez v France [GC]*, par. 81).

14. საკასაციო სასამართლო უპირველესად იმას აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალურთიერთობა წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონის მოწესრიგებას ეფუძნება. მოსარჩელე საწარმომ მოითხოვა მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული სამი სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობა სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის - სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთიანობა, რომელიც: „ი“ /საყოველთაოდ გამოიყენება როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარიებითი ცნება/, „კ“ /წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება/ და „თ“ /შესაძლებელს ხდის, მკდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლის შესახებ/ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დარღვევის საფუძველით. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ უნდა გაანალიზდეს სადავო სასაქონლო ნიშნების მნიშვნელობა, ანუ რა ინფორმაციას აწვდის ის მომხმარებელს. მოსარჩელის პრეტენზია იმას ეხება, რომ სადავო ნიშნების რეგისტრაცია ეწინააღმდეგება სპეციალურ კანონს, ვინაიდან განაცხადით წარდგენილ ეტიკეტზე დატანილი სიტყვიერი აღნიშვნები „y.“ და „i.“ წარმოადგენენ მხოლოდ აღწერილობით სიმბოლოებს, რადგან ქართულად თარგმნილი ეს სიტყვები ნიშნავს „არ“-ს. ასევე, აღწერილობითი სიმბოლოებია სიტყვები „veni“ და „seri“, რადგან ქართულად თარგმნილი ეს სიტყვები ნიშნავს „ახალი სერია“-ს, რაც კომბინაციაში აძლიერებს აღწერილობას და ამის გამო სადავო სასაქონლო ნიშნები არ უნდა დარეგისტრირებულიყო (იხ. დაზუსტებული სარჩელი- ტ.1, ს.გ. 124-137).

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დადგენილია და სადავო არ არის, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „ს-ის“ N 56016 და N 56-21 გადაწყვეტილებებით მოპასუხე საწარმოს განაცხადის საფუძველზე „ს-მა“ გადაწყვიტა, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი შესაძლებელს ხდის მკდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის რაობაზე („ალკოჰოლური სასმელები“), რაც სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ნაწილობრივ უარის თქმის საფუძველს.

შესაბამისად შესაძლებელია ჩათვალო დაცვა მხოლოდ საქონლისათვის „რ.“ (თურქული ალკოჰოლიანი სასმელი);

15.1. „ს-მა“ 2007 წლის 26 მარტს დაარეგისტრირა და მიანიჭა რეგისტრაციის ნომრები: N 2007 17374 R და N 2007 17375 R საქონლის საერთაშორისო კლასიფიკაციის 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალს 33 - რაკი (თურქული ალკოჰოლიანი სასმელი);

15.2. „ს-მა“ 2014 წლის 28 ივლისს დაარეგისტრირა და მიანიჭა რეგისტრაციის ნომერი: N 2014 25055 R საქონლის საერთაშორისო კლასიფიკაციის 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალს 33 - ალკოჰოლური სასმელი (ლუდის გარდა).

16. სპეციალური კანონის მე-4 მუხლი ადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებს. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილი ამომწურავ ჩამონათვალს მოიცავს, ამასთან, რეგისტრაციაზე უარის თქმის თითოეული საფუძველი დამოუკიდებელია და შესაძლებელია, რეგისტრაციაზე უარის თქმის მხოლოდ ერთ-ერთი ან რამდენიმე საფუძველი ერთად იყოს გამოვლენილი.

17. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეზენზიასთან დაკავშირებით, რომელიც წინამდებარე განჩინების 10.2.6 ქვეპუნქტშია მითითებული, სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტთან (ნორმის დეფინიცია იხ. წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტი) მიმართებით, თუ ვინ არის მომხმარებელი და რა კრიტერიუმით შეფასდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების აღქმადობა სადავო სასაქონლო ნიშნებისადმი, დოქტრინაში გამოთქმულ მოსაზრებაზე მიუთითებს: „*მომხმარებელი, ყოველ ჩვენთაგანს გულისხმობს!*“ ეს პოსტულატი ცხადყოფს, რომ მომხმარებლები არ მიეკუთვნებიან გამორჩეულ საზოგადოებრივ ფენას ან კლასს. ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს თავისი პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მომხმარებელია აქ არ არსებობს გამონაკლისი. ამოუვადი დიასახლისი და უჩინელი მუშაკი ისეთივე მომხმარებელია, როგორც შეძლებული საქმისანი ან სამართლის სახელგანთქმული პროფესორი, როდესაც საქმე ეხება პირადი მომხმარებლისათვის, მაგალითად, მანქანის, პურის, ხალიჩის ან ნებისმიერი სხვა ნივთის შეძენას“ (თამარ ლაკერბაია, ვახტანგ ზაალიშვილი, თამარ ზოიძე - მომხმარებელთა დაცვის სამართალი /ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა/, თბილისი, 2018, შპს „გვ.“, გვ.30) და განმარტავს, რომ მომხმარებელი არის ის, ვინც არა მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის შეიძენს, გამოიყენებს, შეუკვთავს საქონელს /პროდუქციას, სამუშაოს, მომსახურებას, არამედ ვისაც ასეთი განზრახვა აქვს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მომხმარებელი არის არა მხოლოდ ის, ვინც ყიდულობს ამა თუ იმ კონკრეტული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებულ საქონელს, არამედ ასევე პოტენციური მომხმარებელი, რომელმაც შესაძლოა შეიძინოს კონკრეტული საქონელი. საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ანიჭებს იურიდიულ კვალიფიკაციას ამა თუ იმ ურთიერთობას, ამ თვალსაზრისით სამართლებრივი შეფასების საკითხს განეკუთვნება მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობა და მხარეს რომც არ მიეთითებინა 100 000 ეთნიკურად აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, სასამართლო უფლებამოსილი იყო, გადაწყვიტა სასამართლებრივი მოტივაციის დროს ასეთი არგუმენტიც მოეშველიებინა, თუმცა, საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის სხდომაზე მოსარჩელე საწარმოს წარმომადგენლმა - გ. ბ-მა მხარის პოზიციის წარმოდგენისას, სხვებთან ერთად, მიუთითა სწორედ იმგვარ არგუმენტზე, რომ მაგალითად, აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისათვის სიტყვა „Yeni“ „ახალი“ ნიშნავს, რაც აშკარად მცდარ წარმოდგენას უქმნის მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის შესახებ (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის სხდომის ოქმი - 11:55:09-დან).

18. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მსჯელობის ძირითად ნაწილს, ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის კვალიფიკაციისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებები: სიტყვა „Yeni“ თავის მნიშვნელობით არის „ახალი“; პროდუქციის/საქონლის შეძენით დაინტერესებული პირის მიერ ამ სიტყვის მნიშვნელობის მოძიების (რაც დღეს არსებული ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით უკვე ხელმისაწვდომია უშუალოდ საქონლის შეძენის დროსაც კი და არ საჭიროებს კონკრეტული კვლევის ჩატარებას ან მანევრებას ლეგსიკონში ჩახედვას) შემთხვევაში, მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას სასმელის თვისობრივ, ხარისხობრივ მახასიათებლებზე; საქონლის/პროდუქციის შეძენა არ უკავშირდება მხოლოდ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მიერ საქონლის/პროდუქციის ხარისხის, თვისების, წარმოშობის, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის ფლობას, რადგან მომხმარებელად განხილვა როგორც კონკრეტული საქონლის/პროდუქციის მუდმივი და ინტენსიურად მომხმარებელი, ასევე - ყველა ის პირი, ვინც მომავალში შეიძლება შეიძინოს ესა თუ ის საქონელი/პროდუქცია და შესაბამისად მისი, როგორც მომხმარებლის, უფლება დაცული უნდა იყოს, მათ შორის, იმისგან, რომ მცდარი წარმოდგენა არ შეექმნას შესაძენ ან უკვე შეძენილ საქონელზე/პროდუქციაზე. „*მომხმარებელთა უფლებები კრებითი ცნებაა და აერთიანებს ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ინდივიდის უფლებას, მიიღოს ხარისხიანი, უსაფრთხო საქონელი ან მომსახურება, მასთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია*“ (თამარ ლაკერბაია, ვახტანგ ზაალიშვილი, თამარ ზოიძე - მომხმარებელთა დაცვის სამართალი /ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა/, თბილისი, 2018, შპს „გვ.“, გვ.35).

19. სადავო სასაქონლო ნიშანში „Yeni Raki“ (ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც „ახალი რაკი“ ან „ახალი არაყი“) არ არის ფანტაზიური; სადავო სასაქონლო ნიშნების შინაარსი მომხმარებელთა გარკვეულ ნაწილში (არ აქვს მნიშვნელობა მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი თუ

სხვა ენაზე მოსაუბრე ან თუნდაც ქართულენოვანი მომხმარებლის ნაწილი იქნება ასეთად განხილული) ალიქმება როგორც საქონლის თვისობრივი, ხარისხობრივი მახასიათებელი; სიტყვათა კომბინაციაში სიტყვა „Yeni“ არის „ახალი“ და დომინირებული, რადგან უთითებს საქონლის ხარისხზე, თვისებაზე, ამასთან, სხვა პროდუქციასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს ასეთი ნიშანდებით დაცულ საქონელს და ამიტომაც არის მომხმარებლის შეცდომაში შემყვანი; ეს გარემოებები კი იმის დამადასტურებელია, რომ ასეთი სასაქონლო ნიშანი არ არის რეგისტრაციაუნარიანი, მისი გამოყენება ეწინააღმდეგება მომხმარებლის უფლებას და სპეციალური კანონის მიხედვით რეგისტრაციას. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია: „მომხმარებლებისათვის გარანტირებული არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება, რაშიც იკულისხმება მომხმარებელთა დაკვა შეცდომაში შემყვანი ინფორმაციისაგან მომსახურების, პროდუქტისა და ბაზრის შესახებ“ (თამარ ლაპერბაია, ვახტანგ ზაალიშვილი, თამარ ზოიძე - მომხმარებელთა დაცვის სამართალი /ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა/, თბილისი, 2018, შპს „უ. გვ.“, გვ.35).

20. მომხმარებელს საშუალება აქვს, თავად აირჩიოს სასურველი პროდუქცია, რომელსაც იცნობს და ენდობა, ან რომელიც მას ურჩიეს, რომელიც მას აინტერესებს. ამდენად, სასაქონლო ნიშნის გამოყენების მიზანი სწორედ ისაა, რომ მომხმარებელს ჰქონდეს უტყუარი, სწორი ინფორმაცია კონკრეტული პროდუქციის/საქონლის სახეობის, ხარისხის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებზე. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზანი არა მხოლოდ კერძო პირთა საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფაში გამოიხატება, არამედ -საჯარო ინტერესშიც, რომ მომხმარებელთა არა მხოლოდ კონკრეტული წრე, არამედ პოტენციური მომხმარებელიც ინფორმირებული და დაცული იყოს (შეად. სუსგ N ას-62-56-2015, 28.07.2016). სწორედ ამიტომ ითვალისწინებს სპეციალური კანონის 28-ე მუხლი, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა შეუძლია მოითხოვოს მესამე პირსაც და არა მხოლოდ დაინტერესებულ პირს. მესამე პირის მიერ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის მოთხოვნა, დასაბუთებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გათვალისწინებულია სპეციალური კანონის მე-4 ან მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით რეგისტრაციის დროს, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ბათილად ცნობს სასამართლო, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოხდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით. კასატორს შედავება ამ კუთხითაც აქვს წარმოდგენილი (იხ. წინამდებარე განჩინების 10.2.7-10.2.8 ქვეპუნქტები) და ამიტომ საკასაციო სასამართლო ამ პრეტენზიასაც უპასუხებს.

21. „სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპია ის ბერკეტი, რომლითაც უნდა დაბალანდეს მხარეთა ინტერესები. ეს პრინციპი გამოიყენება სამოქალაქო ბრუნვის იმ მონაწილეთა წინააღმდეგ, რომელთაგანთაგან ნების ავტონომია ბაზარზე დაუკარგოთ უსაფუძვლო უპირატესობის მიღების საშუალებად იქცა.სამოქალაქო ურთიერთობებში კეთილსინდისიერებას აქვს ორმაგი შინაარსი: 1. კეთილსინდისიერება, როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, გულისხმობს კეთილსინდისიერებას ობიექტური გაგებით. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. კეთილსინდისიერება გამოხატავს სამოქალაქო ბრუნვაში, ე.ი. უფლებათა შეძენის, განხორციელების, დაცვის, ასევე ვალდებულებათა შესრულებისას, - სამართლის სუბიექტის ზნეობრივად მოქმედების შესახებ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს. ყოველი პირი უფლების განხორციელებისას თუ ვალდებულების შესრულების დროს უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები; 2. მეორე შემთხვევაში კეთილსინდისიერება არის სუბიექტის მიერ არცოდნა იმისა, რომ მისი ქცევა მართლსაწინააღმდეგოა, ლახავს სხვა პირის უფლებას. ასეთ შემთხვევაში საუბარია კეთილსინდისიერებაზე სუბიექტური გაგებით. კეთილსინდისიერების ერთიანი ცნების შემუშავება შეუძლებელია. სუბიექტის თითოეული ქმედების კეთილსინდისიერების პრინციპთან შესაბამისობაში ანალიზის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თითოეული ურთიერთობის სპეციფიკა და ან ურთიერთობის ჩამოყალიბება-განვითარების თავისებურებები“ (იხ. სუსგ N ას- 541-513-2015, 22.07.2015წ.).

22. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გარდა იმისა, რომ გამოვლენილია სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი სადავო სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ბათილად ცნობისათვის, „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წინაპირობის - სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განხორციელება არაკეთილსინდისიერი განზრახვით- შეფასება, მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, შემდეგნაირად უნდა მოხდეს: რომც არ გავიზიაროთ პირდაპირი არაკეთილსინდისიერი განზრახვა სადავო სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის დროს, ვლინდება იმგვარი ვითარება, რომ მოპასუხე კომპანიამ ისეთ ვითარებაში დაარეგისტრირა სადავო სასაქონლო ნიშნები, როდესაც არ ჰქონდა პირდაპირი განზრახვა უშუალოდ ხელიყო მომხმარებლის უფლება, თუმცა, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი მართლსაწინააღმდეგოა თავისი შინაარსით. მოცემულ შემთხვევაში სადავო სასაქონლო ნიშნებში მოცემულ სიტყვათა კომბინაციაში გადმოცემული დომინირებული მნიშვნელობის მქონე სიტყვა (ელემენტი), ამ დავაში „Yeni“ (ახალი) საქონლის თვისობრივ, ხარისხობრივ მახასიათებელს წარმოადგენს და შესაძლებელს ხდის შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი. ამდენად, არ არის გასაზიარებული კასატორის პრეტენზია, რომელიც წინამდებარე განჩინების 10.2.7 ქვეპუნქტშია მითითებული.

23. კასატორის მოთხოვნასთან თაააპირიბით უაიოორის შიმიხიივაში სასამართლომ

იმსჯელოს სადავო სასაქონლო ნიშნების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ (იხ. წინამდებარე განჩინების 11.2 ქვეპუნქტი) , საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის წინაპირობებს, ხოლო მეორე ნაწილი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, მაშინ რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ ამ ნაწილის მიმართ. საკასაციო სასამართლოს შეფასებით განსახილველი საქმე სპეციალური კანონის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მოწესრიგებას ესადაგება.

24. ზემოხსენებული სამართლებრივი მოტივაციიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის სხვა არგუმენტებს არც ფაქტობრივად და არც სამართლებრივად არ აქვს მნიშვნელობა განსახილველი დავისათვის და ვერ იქონიებს გაჯლეწას საქმის გადაწყვეტის შედეგზე.

25. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივრის ავტორმა ვერ დაამტკიცა მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების თაობაზე და არ უნდა დაკმაყოფილდეს მოპასუხის საკასაციო პრეტენზია. სასამართლო ასევე ყურადღებას გაამახვილებს, რომ სპეციალური კანონი რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილობისათვის განსაზღვრავს, როგორც სხვადასხვა საფუძვლებს, აგრეთვე სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს. სპეციალური კანონის 29-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით „თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი ამ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად ითვლება სასაქონლო ნიშანზე ამ უფლებების წარმოშობის დღიდან, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში სხვა თარიღი არ არის მითითებული“.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ.ა.ი.ს.თ.ა.შის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ე. გასიტაშვილი

მოსამართლეები:

მ. ერემაძე

ბ. ალავეძე

[← უკან](#)

[«წინა შემდეგ»](#)